სახელმძღვანელო (პრეზენტაცია) საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებასთან და ბიბლიოთეკის სარგებლობის წესთან დაკავშირებით.



- ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის უნდა გქონდეთ მომხმარებლის ბარათი, რომელსაც პირადობის მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე გაგიხსნით ბიბლიოთეკის თანამშრომელი.
- მომხმარებლის ბარათი თითოეული თქვენგანის სახელზე იქმნება ორი სახის, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული ფორმით და მასში აისახება ბიბლიოთეკით სარგებლობის თქვენივე ისტორია.
- წიგნის გაცემის ვადა დამოკიდებულია წიგნის რაოდენობასა და მოთხოვნის სიხშირეზე, გასაცემი დღეების რაოდენობა განისაზღვრება 1-7 დღემდე, სახელმძღვანელოები, რომელთა რაოდენობა ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 10 ერთეულზე მეტი რაოდენობით, მომხმარებელს შეუძლია გაიტანოს მთელი სემესტრით, იმ შემთხვევაში თუ გატანილი სახელმძღვანელო გესაჭიროებათ დამატებითი დროით უნდა მოგვმართოთ ბიბლიოთეკის მეილზე library@cue.edu.ge და ბიბლიოთეკარი გადაგივადებთ დროს, ასახავს ამ ფაქტს თქვენს სახელზე შექმნილ მომხმარებლის ბარათში.

- აღნიშნული ფაქტის დარღვევის შემთხვევაში სხვა საჭირო ლიტერატურას ვერ გაიტანთ იმ დრომდე, სანამ დავალიანებაში მქონე სახელმძღვანელოს არ დააბრუნებთ.
- დაუშვებელია წიგნზე, პერიოდულ გამოცემაზე, საბიბლიოთეკო ერთეულებზე აღნიშვნების გაკეთება, გადაკეცვა, ფურცლის ამოხევა, დაზიანება (დახევა, გაჭუჭყიანება) ამ პირობის დარღვევების შემთხვევაში ბიბლიოთეკის თანამშრომელი ადგენს აქტს, ხოლო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი განსაზღვრავს ფულადი სანქციის ოდენობას, იმის გათვალისწინებით თუ რა ოდენობის თანხაა საჭირო მისი აღდგენის ან ახლის შეძენისათვის. მკითხველს გეკისრებათ ვალდებულება გადაიხადოთ დადგენილი საზღაური.
- ერთეულის დაკარგვის შემთხვევაში ბიბლიოთეკის გამგის, თანამშრომლისა და მკითხველის მონაწილეობით შედგება შესაბამისი აქტი ერთეულის ღირებულების მინიშნებით. მომხმარებელს საშუალება აქვს დაკარგული წიგნი ჩაანაცვლოს იმავე ღირებულების, გამოცემის წლისა და შინაარსის ეგზემპლარით ან გადაიხადოს წიგნის ღირებულება და წიგნის მოწოდებასთან დაკავშირებული თანხები.

საბიბლიოთეკო რესურსები

- ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში ირიცხება სასწავლო პროცესში საჭირო ყველა ძირითადი და სავალდებულო ლიტერატურა, ისინი არსებობს, როგორც ბეჭდური, ასევე მათი დიდი ნაწილი ელექტრონული ფორმითაც.
- ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი Openbiblio http://159.65.227.147/biblio/opac/index.php
- მისი მეშვეობით შესაძლებლობა გეძლევათ სახლიდან მოახდინოთ ძიება თქვენთვის საინტერესო წიგნი არის თუ არა ბიბლიოთეკის ფონდში, რა ფორმით ინახება (ელექტრონულად თუ ბეჭდურად), გატანილია თუ არა მოცემულ მომენტში ის ბიბლიოთეკიდან. ელექტრონული კატალოგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ბიბლიოთეკის ნაწილში.



ელექტრონულ კატალოგში სახელმძღვანელოს ძიება ხდება, ავტორის გვარით, სათაურითა და თემატიკის მიხედვით. ერთ-ერთი მათგანის მითითებისა და ძიების ბრძანების მიცემის შემდეგ პროგრამა გიჩვენებთ წიგნის დეტალურ აღწერილობას, რა თქმა უნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის კონკრეტული წიგნი ირიცხება ჩვენს საბიბლიოთეკო ფონდში.



სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები

- სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიების საძიებლად იყენებთ, ისევე როგორც ბაჭდური წიგნების შემთხვევაში, ელექტრონულ კატალოგს Openbiblio.
- ელექტრონულ ვერსიასაც და ბეჭდურ წიგნსაც ძიების სპეციპიკა აქვს ერთნაირი, ძიებას ახორციელებთ:
- ავტორის გვარით,
- სახელმძღვანელოს სათაურით
- თემატიკით.
- სახელმძღვანელოს მოძებნის შემდეგ გიჩვენებთ აღწერილობას თუ რამდენი ბეჭდური ვერსიაა თქვენთვის სასურველი სახელმძღვანელო მოცემულ მომენტში ბიბლიოთეკაში. თუ იმავე სახელმძღვანელოს ელ.ვერსიაც არსებობს აღწერილობაში გიჩვენებთ ინტერნეტ მისამართს თანდართული ლინკის სახით.
- ლინკი დააკოპირეთ, გახსენით ახალი გვერდი, ჩასვით იქ და ენთერის მეშვეობით გადადით დრაივზე, საძიებო გრაფის გამოყენების მეშვეობით მოახდენთ წიგნის ელექტრონული ვერსიის მოძიებას. დრაივზე ვერ გადახვალთ თუ ჩვენი უნივერსიტეტის ოფიციალური მეილი არ გექნებათ გახსნილი პარალელურად..
- ეს შეზღუდვა არსებობს ვინაიდან დაცული იყოს საავტორო უფლებები და არ მოხდეს ღია წვდომის დაშვება სახელმძღვანელოებზე.



THANK YOU
FOR YOUR
ATTENTION